წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს ენის სწავლისა და სწავლების სფეროში კორპუსზე დაფუძნებული მეთოდის განხილვას, იქნება ეს პირველი, მეორე თუ უცხო ენა. იმის გათვალისწინებით, რომ ინტერნეტ სივრცეში დაგროვდა სხვადასხვა სახის ქართულენოვანი კორპუსი, მნიშვნელოვანია ამ ტიპის ელექტრონული რესურსის განხილვა სწორედ ქართული ენის სწავლა-სწავლების კონტექსტში, მით უფრო, რომ სხვა ენებისთვის შექმნილი კორპუსები აქტიურად გამოიყენება საგანმანათლებლო მიზნებისათვის. ამიტომ კვლევის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ქართულენოვანი კორპუსების მიმოხილვასა და ამ მიმართულებით მათი გამოყენების მნიშვნელობაზე.

არაერთი საზღვარგარეთული კვლევა ადასტურებს იმას, რომ ენის სწავლისა და სწავლების კორპუსზე დაფუძნებული მეთოდი ეფექტური და პროდუქტიულია; მოსწავლეებს/სტუდენტებს აქვთ უშუალო წვდომა ენობრივ მონაცემებზე, რითაც ავითარებენ თავიანთ ენობრივ უნარ-ჩვევებს. განხილულმა კვლევებმა აჩვენა ისიც, თუ როგორ შეიძლება კორპუსზე დაფუძნებულმა მეთოდმა წვლილი შეიტანოს ენის სწავლისა და სწავლების სფეროში, მოსწავლეთა კვალიფიკაციის დონის მიუხედავად. განსახილველი მეთოდი გამოსადეგია როგორც დამწყებთათვის, ისე მასწავლებლებისთვის. კორპუსის მეშვეობით შესაძლებელია სხვადასხვა სახის ენობრივი მასალის სწრაფად და ეფექტურად მოძიება, ასევე მასწავლებლებს ეძლევათ საშუალება, მოამზადონ და შეავსონ სასწავლო მასალები საინტერესო და ავთენტური მაგალითებით სხვადასხვა პერიოდის, ავტორის, დარგისა თუ ჟანრის ქართულენოვანი ტექსტებიდან.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ არსებული საერთაშორისო გამოცდილება, რომელიც უკავშირდება ენის სწავლების პროცესში კორპუსების გამოყენებას, სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება. ქართული ენის კორპუსების შექმნის პარალელურად, მათ ჩართვას არა მხოლოდ კორპუსზე დაფუძნებული კვლევებისთვის, არამედ ენის სწავლების პროცესში ნამდვილად აქვს პერსპექტივა. რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქართული ენის კორპუსები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ენის სწავლა-სწავლების მიზნით დამხმარე საშუალებად. კორპუსულ რესურსებსა და ინსტრუმენტებს შეუძლიათ უპასუხონ კითხვებს, თუ რომელი სიტყვა/ფრაზა როგორ და რამდენად ხშირად გამოიყენება, გვაჩვენოს მათი გამოყენების სიხშირე, კოლოკაციები და ა.შ. თუმცა, კორპუსებს არ შეუძლიათ პირდაპირ იმის თქმა, როგორ განვასხვავოთ სალიტერატურო ენის ნორმა და სწორი-არასწორი ფორმები ენაში. იმისათვის, რომ გამოვიყენოთ კორპუსები კითხვებზე პასუხების გასაცემად, საჭიროა მასწავლებლის აქტიური ჩართულობა და კორპუსების გამოყენება მთლიანად მათს ხელშია.

საკვანძო სიტყვები: ენის სწავლა და სწავლება, ენის სწავლისა და სწავლების კორპუსზე დაფუძნებული მეთოდი.

Corpus-based Method in Georgian Language Teaching and Learning

Natia Kentchiashvili

*Visiting Lecturer, Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia,
natia.kentchiashvili@gmail.com*

The present study aims to review the corpus-based method in the field of language teaching and learning, be it a first, second or foreign language. Considering that a lot of different corpora have been accumulated for the Georgian language on the Internet, it is important to discuss this type of electronic resource in the context of teaching and learning the Georgian language. Moreover, the corpora created for other languages are actively used for educational purposes. Therefore, in the framework of this study, special attention should be paid to the review of Georgian language corpora and the importance of their use in this regard.

Numerous foreign studies prove that the method based on language learning and teaching corpora is effective and productive; pupils/students have direct access to language data, thus enhancing and developing their language skills. The studies reviewed also showed how the corpus-based method can contribute to language learning and teaching, regardless of the level of qualifications of the students. The method under consideration is especially useful for both beginners and teachers. Through the corpus it is possible to quickly and efficiently find different types of linguistic material; teachers are given the opportunity to prepare and supplement learning materials with interesting and authentic examples from Georgian texts of different times, authors, fields or genres.

In conclusion, it should be noted that the existing international experience related to the use of corpora in the language teaching process is becoming more and more relevant. In parallel with the creation of Georgian language corpora, their involvement not only in corpus-based research, but also in the language teaching process does have prospects. As a recommendation, it can be said that Georgian language corpora can be used as an aid for language teaching and learning. Corpus resources and tools can answer questions on word/phrase usage and their frequency of use, collocations, and more. However, corpora cannot directly tell how to distinguish between literary language norm and correct-incorrect forms in language. In order to use the corpus for finding answers to questions, teacher active involvement is crucial, as corpora use is entirely in their hands.

Keywords: language teaching and learning, corpus-based teaching and learning method.

თამაშით სწავლების მეთოდის გამოყენება უცხო ენის სწავლებისას

ნინო აფხაიძე

ენების ცენტრის მოწვეული პედაგოგი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, nino.apkhaidze@tsu.ge

სწავლების მეთოდების ძიება, დანერგვა და შედეგებზე დაკვირვება პედაგოგისთვის დაუსრულებელი პროცესია. შესასწავლი საგანი ერთია, საგანმანათლებლო გამოწვევები კი სხვადასხვა. როგორც საბაზისო განათლების, ისე უმაღლესი დაწესებულებების პედაგოგები მუდმივ ძიებაში ვიმყოფებით სამუშაო პროცესის გასაუმჯობესებლად, დასახვეწად და სტუდენტების მეტად დასაინტერესებლად. თამაშის შეტანა აუდიტორიაში და მასზე დაკვირვებაც ზუსტად ამ მიზანს ემსახურება. ამ მეთოდმა თუ საშუალებამ უნდა გააუმჯობესოს სასწავლო პროცესი და სტუდენტის აკადემიური მოსწრება, რომელიც აისახება ქულებში. ნეირომეცნიერი დოქტორი ფრანსისკო მორა თავის წიგნში “ნეიროგანათლება” საუბრობს ცნობისმოყვარეობის თეორიაზე „ჟირაფი აუდიტორიაში“ და ხაზს უსვამს ემოციის აუცილებლობას მასწავლებლის მხრიდან, რომელიც პირდაპირ პროპორციულად განსაზღვრავს სტუდენტის ემოციასა და შედეგს (მორა, 2013). წარმოდგენილ ნაშრომში გარდა თეორიებისა, რომლებიც მრავლადაა თამაშის შესახებ, ასევე წარმოდგენილია ევროპული ენების საერთო სარეკომენდაციო ჩარჩო (CEFR — The Common European Framework of Reference for Languages), რომლის ერთ-ერთ თავში საუბარია თამაშზე, თამაშის სახეობებსა და, ზოგადად, თამაშის მნიშვნელოვნებაზე უცხო ენის სწავლა-სწავლების პროცესში.

მოსხენებაში წარმოვადგენთ მცირე კვლევას, რომელიც ჩატარდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ესპანურის, როგორც უცხო ენის ლექტორებმა. კვლევამ აჩვენა გარკვეული სირთულეები თამაშის მეთოდთან მიმართებით, როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი ასპექტები. ასევე გამოიკვეთა კონკრეტულად ლექტორთა მოლოდინი და საჭიროებები სასწავლო თამაშებთან მიმართებით. ასევე საინტერესო იყო სიტყვა „თამაშის“ ირგვლივ არსებული მოსაზრებები როგორც ლექტორების, ისე სტუდენტების მხრიდან, რამაც კიდევ სხვა გამოწვევების წინაშე დაგვაცენა.

ჩატარებული კვლევის მიხედვით საჭიროა უფრო ფართომასშტაბიანი კვლევა, რომელიც მოიცავს მთლიან პროცესს: როგორც თამაშებს, ისე ლექტორსა და სტუდენტს და ამ სამი კომპონენტის ურთიერთკავშირს. ასევე მეტი ეფექტურობისთვის შესაძლებელია საკვლევი ენების რაოდენობის გაზრდაც, რაც კონკრეტულ თემას უფრო საინტერესოს და შედეგიანს გახდის.

საკვანძო სიტყვები: უცხო ენის სწავლება, თამაში, ცნობისმოყვარეობა, ლექტორი, სტუდენტი.

Using Game-based Teaching Method in Foreign Language Teaching

Nino Apkhaidze

Lecturer at the Language Centre, PhD candidate at the Faculty of Psychology and Educational Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia, nino.apkhaidze@tsu.ge

The investigation and implementation of educational methods, along with the observation and study of outcomes has been a continuous process for teachers and lecturers. On the one hand, it is the subject of what we teach; on the other hand, with the teaching process comes a myriad of challenges. Therefore, teachers in the primary education sector, as well as university lecturers are constantly involved in researching the above-mentioned challenges. Introducing games into the classroom and studying the process is a part of the research. The objective of the method is to improve the learning process and the academic performance of students, which should further be reflected in their scores. In his book *Neuroeducation*, neuroscientist Dr. Francisco Mora in his theory about curiosity “Giraffe in the Auditorium”, underlines the importance of teachers’ emotional involvement towards students and states that it is in direct correlation with the positive emotional response of students and the academic outcome (Mora, 2013).

In this study, along with multiple theories about games, The Common European Framework of Reference for Languages (CEFR) is also presented, the framework which demonstrates different types of games and explains their importance in foreign language. The research presented in this work is conducted at Iv. Javakhishvili Tbilisi State University. Participants are Spanish language lecturers who teach Spanish as a foreign language.

The research presented positive and negative aspects in addition to challenges of given methodology. This will definitely make the topic more interesting and profitable. Using the term “game” itself created interesting and somewhat unexpected feedback from students, as well as from teachers, which formed additional challenges and created further topics for discussion. The study also specified and outlined the expectation and requirements of lecturers when it comes to game-based learning. To receive a more productive outcome and solution about employing the game-based learning method, further research needs to be carried out; a broader study in terms of students, teachers, games and other foreign languages is necessary.

Keywords: learning foreign languages, games, curiosity, teacher, student.

წერილობითი ურთიერთობის ეთიკა ონლაინ სწავლებაში

ინეზა ფუტკარაძე

პროფესიული სკოლის მასწავლებელი, ჟურნალისტიკის მაგისტრი, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო, inesa.pepi@gmail.com

დისტანციური სწავლების პირობებში მიმდინარეობს დისკუსიური ძიება ახალი მეთოდების გამოყენების ეფექტურობის შესახებ. ხარისხიანი ონლაინ სწავლების განხორციელებამ მოითხოვა წინასწარი მომზადების პროცესი, ადამიანური და ტექნოლოგიური რესურსები, ელექტრონული ბიბლიოთეკა და სხვ. მნიშვნელოვანია, რომ პროფესიულ სწავლებაში შესაძლებელი გახდა საჭიროებების მიხედვით დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც შედეგზე გასვლას შეუწყობს ხელს. კოლეგებთან საქმიან შეხვედრებზე გამოიკვეთა ჩართულობისა და მონაწილეობის ხარისხის, თვითორგანიზების პრობლემის არსებობა. სასწავლო პროცესზე დაკვირვებამ დამანახა, რომ სწავლების პროცესი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ინდივიდუალური, სინქრონული, არამედ „ჩვენ მიღმაც“: როგორ მუშაობენ, როგორ გადაწყვეტილებებს იღებენ, რომელი ინფორმაციული და ტექნოლოგიური მექანიზმებით სარგებლობენ, რომელი წყაროა მნიშვნელოვანი და რომელი — არა.

წინამდებარე პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის მიზანი იყო იმ პრობლემათა გამოკვეთა, რომლებიც იდგა ონლაინ სწავლების სივრცეში პედაგოგიურ მიდგომებთან დაკავშირებით. კვლევის მეთოდად გამოვიყენე ინტერვიუ. კვლევაში მონაწილეობდნენ პროფესიული სკოლის მასწავლებლები.

კვლევის შედეგების მიხედვით, პრიორიტეტული აღმოჩნდა პროფესიული სკოლის მასწავლებლებისა და სტუდენტების, თანაკურსელების კომუნიკაცია მოკლეტექსტური შეტყობინებების სახით. შევისწავლე წერილობითი ჩართულობის (გაგზავნილი, მიღებული) მაჩვენებელი ერთი თვის მონაცემების მიხედვით. გამოჩნდა, რომ გაუმჯობესებას და განვითარებას მოითხოვს წერილობითი ურთიერთობის ეთიკა. მოკლეტექსტური შეტყობინებები, რომლებსაც სტუდენტები საერთო ჯგუფებში გზავნიან, გრამატიკულად გაუმართავი და ლოგიკურად არათანმიმდევრული შინაარსით ხასიათდება, ყურადღება არ ექცევა გაგზავნის დროს. კოლეგებთან ვიმსჯელებ და დისტანციური სწავლების წინა წლების მაგალითზე შევძელით გვესაუბრა და რეკომენდაციები გაგვეწია ერთმანეთისათვის. ამიტომ, შესასწავლ საკითხებში ელექტრონული ვიზუალური საშუალებების გამოყენებით შედეგზე გასვლის მანასიათებლად ჩართულ იქნა შემდეგი აქტივობები: წერილობითი უკუკავშირი, შეკითხვა პირდაპირი პასუხით, აზრის გაცვლა, მსჯელობის ხარისხის მოდელი. გამოვკვეთეთ წერილობითი ურთიერთობის ეთიკის დაცვის აუცვლებლობა. განხორციელებული საქმიანობის შედეგად ყურადღება გამახვილდა წერილობითი ურთიერთობის ეთიკაზე, სჭარბობდა თავაზიანი ტონი, საკითხთან დაკავშირებული კორექტული შენიშვნები თუ რჩევები, შეიქმნა კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო, შემცირდა გაუცხოების შემთხვევები, გაიზარდა ურთიერთზრუნვისა და მხარდაჭერის გამომხატველი გზავნილების რაოდენობა. აღსანიშნავია, რომ წერილობითი ურთიერთობის ეთიკა ონლაინ სწავლებაში პრობლემური საკითხია. ჩვენ შევძელით ერთი ჯგუფის მაგალითზე გვეჩვენებინა, როგორ შეიძლება საკითხის მოგვარება. თუმცა, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა აღნიშნულ პრობლემაზე საუბარი და რეკომენდაციების გაცემა.

საკვანძო სიტყვები: წერილობითი ეთიკა, ონლაინ სწავლება, ეთიკა, ონლაინი.

Ethics of Written Communication in Online Learning

Ineza Putkaradze

Vocational School Teacher, MA in Journalism, Georgian Patriarchate St. Tbel Abuserisdze Teaching University, Georgia, inesa.pepi@gmail.com

In the context of distance learning, there is a discussion about the effectiveness of using new methods. Implementing quality online teaching requires prior training, human and technological resources, electronic library, etc. Importantly, in vocational training it has become possible to make independent decisions in accordance with the existing needs, which contributes to achieving the results. In the meetings with the colleagues, some problems with the quality of engagement, involvement, and self-organization have been revealed. Observation of the learning process has shown that the teaching process can not be individual, synchronous only, but it can be also "beyond us": how they work, how they make decisions about what information and technology mechanisms to use, which information is important and which is not.

The present study was aimed at identifying the problems that have arisen in the online teaching process in terms of pedagogical approaches. Individual interviews were used as a research method and involved vocational school teachers.

According to the results of the research, priority was given to communication in the form of short text messages between vocational school teachers and students, as well as classmates. I studied the rate of written engagement (sent and received short text messages) based on the data of one month period. The results of my analysis showed that the ethics of written communication requires improvement and development. The short text messages that students send to common groups contain grammar errors and the content is logically inconsistent; no attention is paid to the time of sending. On the example of previous years of distance learning, with colleagues, we discussed and made recommendations for the improved teaching outcomes: using electronic visual aids, written feedback, direct answers to questions, exchange of views, reasoning quality model. We have highlighted the urgency of maintaining written communication ethics. The monitoring carried out after the abovementioned activities revealed that the attention to the observance of the ethical norms of the written communication was increased, a polite tone, correct remarks on the issue, and advice grew. The positive tone increased. All this created a friendly learning environment among students, removed a kind of alienation, increased care and support for each other. It should be noted that the ethics of written communication is a problematic issue in online teaching. We were able to show by an example of one group how the issue can be resolved. However, at first it is necessary to talk about the problem and make recommendations.

Keywords: written ethics, online teaching, ethics, online.

რემედიაცია, როგორც მოსწავლეთა დეფიციტური უნარების განვითარების ერთ-ერთი ინსტრუმენტი

მარეხი ნათენაძე

პროფესორი, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, marekhinatenadze@gmail.com

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პირობებში, მასწავლებლობა გაჯერებულია რთული გამოწვევებით. გასათვალისწინებელია მასწავლებლის კომპეტენციები და განწყობა-დამოკიდებულებები მოსწავლეთა მიმართ, საკლასო გარემოს, სკოლაში მიმდინარე პროცესებისა და კოლეგებთან თანამშრომლობის მიმართ. ძალიან რთულია თითოეული მოსწავლის ყოველმხრივ შესწავლა, მათი განსხვავებული საჭიროებების შემჩნევა, ფიქსირება, რეფლექსია, კონკრეტული ნაბიჯების მოფიქრება.

ჯერ კიდევ მეორე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის (2011-2016) მოქმედების პერიოდში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის საჯარო სკოლებში მასწავლებლები მოსწავლეთა სწავლაში დასახმარებლად მათი დეფიციტური უნარების განვითარების მიზნით, მიმართავდნენ დამატებითი გაკვეთილების ჩატარებას — რემედიაციას, კონკრეტული აქტივობების საშუალებით არსებული პრობლემების შემცირების ან აღმოფხვრის მიზნით, თუმცა მასწავლებელთა ამ სახის საქმიანობა, სამწუხაროდ, გაგრძელდა რეპეტიტორობის სახით.

პროცესში დამკვიდრდა ტერმინები: რემედიატორი და რეპეტიტორი. გავმიჯნავთ:

- რემედიაციის დროს პასუხისმგებელია სკოლა, რეპეტიტორების დროს პასუხისმგებელია ოჯახი;
- რემედიაცია მოსწავლის დეფიციტური უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული, რეპეტიტორობის დროს თავად რეპეტიტორი განსაზღვრავს შესასწავლ საკითხებს.

ჩვენი **კვლევის მიზანია** მოსწავლეთა დეფიციტური უნარების განვითარება. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ჩვენ მიერ კვლევის შემდგომ პროცესში გამოყენებული იქნა შემდეგი მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები:

- რაოდენობრივი გამოკითხვა — სპეციალურად შედგენილი კითხვარების საშუალებით გამოკითხულ იქნენ მოსწავლეები, მათი მშობლები, მასწავლებლები, სკოლის დირექტორები;
- მათთან ჩატარებული სამუშაო შეხვედრები და ჩატარებული ინტერვიუები; მიღებული მონაცემების ანალიზი.

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის (2018-2024) მოქმედების ეტაპზე, სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევის განხორციელებისა და მიგნებების პროცესში კიდევ უფრო მეტი დატვირთვა შეიძინა რემედიაციამ, როდესაც დიფერენცირებული სწავლება არ არის საკმარისი და საჭიროა დამატებითი აქტივობები. როგორც პროცესში ჩართული პირი, აღვნიშნავ, რომ დღეს სულ უფრო მეტი სკოლა იღებს გადაწყვეტილებას სარემედიაციო პროცესის ფორმალიზების მიმართულებით. ეს გულისხმობს მოსწავლეთა იდენტიფიცირებას, სარემედიაციო მეცადინეობებისთვის დროისა და ადგილის განსაზღვრას, მეთოდური მასალით უზრუნველყოფას. გარდა ამისა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ რემედიაცია განსხვავდება როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის განკუთვნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლებისაგან, ისე — დიფერენცირებული სწავლებისგან; რემედიაციის დაწყება მოკვლევის გარეშე დაუშვებელია; გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს სასწავლო პროცესზე დაკვირვებას. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა დეფიციტური უნარების განვითარების მიზნით რემედიაციის პროცესებში ჩართულია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი და აქტიურად თანამშრომლობს რეგიონის საჯარო სკოლებთან.

საკვანძო სიტყვები: რემედიაცია, დეფიციტური უნარები, ესგ, მოსწავლე.

Remediation as One of the Tools for Developing Students' Deficient Skills

Marekhi Natenadze

Professor, Faculty of Education, Humanities and Social Sciences, Samtskhe-Javakheti State University, Georgia, marekhinatenadze@gmail.com

In terms of student-centered learning, teaching is saturated with challenges. Teacher competencies and attitudes towards students, classroom environment, school processes and collaboration with colleagues should be considered. It is very difficult to study each student in every way, to notice their different needs, to fixate, to reflect, to think of specific steps.

During the implementation of the Second Generation National Curriculum (2011-2016), teachers in public schools in the Samtskhe-Javakheti region sought additional lessons - remediation - to help students develop their deficient skills, to reduce or eliminate problems through specific activities. This kind of activity unfortunately continued in the form of private tutoring. As a result, the following terms were established: remediator and tutor. The next definitions should be made:

- School takes full responsibility for remediation, whereas family carries the responsible when it comes to private tutoring;
- Remediation is focused on the development of student's deficient skills, whereas in the process of tutoring the tutor himself determines the skills to be addressed.

The aim of our research is to develop students' deficient skills. Due to the urgency of the issue, we used the following methodology and tools:

- Quantitative survey - students, their parents, teachers, school principals were interviewed through specially designed questionnaires;
- Meetings and interviews.

In order to improve the quality of learning in the implementation phase of the Third Generation National Curriculum (2018-2024), remediation has gained even more weight in the process of conducting student needs research and findings when differentiated learning is not sufficient and additional activities are needed. As a person involved in the process, I note that today more and more schools are making decisions to formalize the mediation process. This includes identifying students, determining the time and place for remedial training, and providing methodological resources and materials. In addition, it should be noted that remediation differs from both individual curriculum and differentiated teaching for students with special educational needs. Initiation of remediation without examination is not allowed. The decision should be based on observation of the learning process. It should be noted that Samtskhe-Javakheti State University is involved in remediation processes in order to develop students' deficient skills and actively cooperates with public schools in the region.

Keywords: remediation, deficient skills, unified national examination, student.

**საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი
დაწესებულებების ვებ-გვერდების ანალიზი მეცნიერ-მკვლევართა და ზოგადად
სამეცნიერო დაწესებულების მოღვაწეობის გაშუქების კუთხით**

ნუგზარ ამილახვარი

*პროფესორი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი, საქართველო, n.amilakhvari@gtu.ge*

ცნობილია, რომ თანამედროვე და, ზოგადად, უმაღლესი განათლება ვერ იქნება წარმოებული შესაბამისი მეცნიერ-მკვლევრების კონტინგენტის გარეშე, ხოლო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა არ შეიძლება განხორციელებულ იქნეს მათი საერთაშორისო ასპარეზზე გატანისა და გამოქვეყნების გარეშე. ნებისმიერი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო შესაბამის აკადემიურ გამოცემებში ასახვის გარდა უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ძიების სათანადო პარამეტრებითაც. დღესდღეობით ცნობილია, რომ საერთაშორისო ცნობადობა და აღიარება უმეტესწილად შესაძლებელია განხორციელდეს ინტერნეტის ვებ-გვერდების გამოყენებით. ნებისმიერი მიღწევა შესაბამის ვებ-გვერდზე უნდა იქნას განთავსებული მისი ცნობადობის ამალღების მიზნით. საქართველოში სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის ძირითადი წილი მოდის სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების მეცნიერ-თანამშრომლებზე; შესაბამისად მათი კვლევები პირველ რიგში იმ ორგანიზაციის ვებ-გვერდებზე უნდა იქნას ასახული, რომელშიც მოღვაწეობენ. შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის თანამშრომლებმა შეისწავლეს, თუ რამდენად აკმაყოფილებენ საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები ქვეყნის მეცნიერ-მკვლევრების საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენას ყველაზე განვითარებული და ცნობილი მეთოდის გამოყენებით — ინტერნეტით.

წინამდებარე **კვლევის მიზანსაც** სწორედ აღნიშნულ ამოცანათა მოკვლევა წარმოადგენს, რომლის საფუძველზეც გაანალიზდება, თუ რა ღონეზაა დღეს საქართველოში მეცნიერ-მკვლევართა და, ზოგადად, სამეცნიერო დაწესებულების მოღვაწეობის გაშუქება ინტერნეტ გვერდების გამოყენებით. ინტერნეტში საძიებო სისტემების მიერ ინფორმაციის მოძიებითა და შესაბამისი ანალიზით, გამოკვლევულ იქნა საქართველოს ყველა სახელმწიფო დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ვებ-გვერდი და შესწავლილ იქნა შედარებითი ანალიზისა და სტატისტიკური მიდგომის **მეთოდებით**. **შედეგად**, გამოისახა თანამედროვე სახელმწიფოსთვის ყოვლად მიუღებელი სურათი: რიგ სახელმწიფო დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს საერთოდ არ გააჩნია ვებ-გვერდი; არსებულ ვებ-გვერდთა უმეტესობა არ აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს და მოძველებული ტექნოლოგიებით არის აგებული; უმრავლეს შემთხვევაში ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებული ინფორმაცია უკანასკნელად განახლებულ იქნა 2009, ან უკეთეს შემთხვევაში 2014 წლებში; არანაირი სტრუქტურირებული ინფორმაცია არ არის მოყვანილი სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე (იშვიათ შემთხვევაში წარმოდგენილია PDF-ფაილები) და სხვ. **დასკვნის** სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს ღონისძიებები საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საერთაშორისო ასპარეზზე ცნობიერების ასამალღებლად. პირველ რიგში უნდა შეიქმნას ყველა სახელმწიფო დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების სტრუქტურირებული ინფორმაცია მათი მეცნიერ-მკვლევრების მოღვაწეობის გასაშუქებლად, რომლის ერთიანი სტრუქტურა უნდა ჩამოყალიბდეს ეროვნული მეცნიერებისა და კვლევების მართვის შესაბამისი სტრუქტურების მიერ.

საკვანძო სიტყვები: დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, ცნობიერების ამალღება, მეცნიერების პოპულარიზაცია.

Analysis of the Websites of the Independent State Scientific-Research Institutions of Georgia in terms of Coverage of the Activities of Researchers and Scientific Institutions

Nugzar Amilakhvari

*Professor, Faculty of Informatics and Management Systems, Georgian Technical University, Georgia,
n.amilakhvari@gtu.ge*

It is known that modern and higher education in general cannot be produced without a contingent of relevant researchers, and scientific research cannot be carried out without bringing them to the international arena. Any scientific research work, in addition to being reflected in the relevant papers, should also ensure that the criteria for finding these papers are met. It is now well known that international awareness and recognition can largely be achieved through the use of the Internet websites. Any achievement should be published on the relevant website to spread information about it. The main share of scientific-research activity in Georgia falls on the scientific staff of scientific-research organizations. Accordingly, their research should be reflected primarily in the organization in which they operate.

Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia has conducted a survey on the satisfaction of the Georgian state independent scientific-research institutions with the most developed and well-known method of presenting the country to the international arena using the most developed and well-known method - the Internet.

The purpose of the research: To investigate this task and based on it to analyze the level of coverage of the work of scientists and researchers and scientific institutions in general in Georgia using the Internet.

Research methods: The websites of all Georgian state independent scientific research institutions were analysed and surveyed, using the method of comparative analysis and statistical approach.

Research results: The results of the analysis revealed a completely unacceptable picture for the modern state: a number of state independent research institutions do not have a website at all; most of the existing websites do not meet modern standards and are built using outdated technologies; information on most websites was last updated in 2009, or at best in 2014; no structured information is provided on scientific research activities (rarely PDF files are presented), etc.

Conclusion: Measures should be taken immediately to raise awareness of Georgia in the international arena of scientific research. First of all, structured information of all state independent scientific-research institutions should be created to cover the activities of their scientists and researchers, the unified structure of which should be established by the relevant structures of science and research management of the state.

Keywords: independent scientific-research institution, awareness raising, event.

ვებ-ზე ორიენტირებული ონლაინ-საგამოცდო პროგრამა ATSUOXM

ზურაბ ხურცია

ასოცირებული პროფესორი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, zurab.khurtsia@atsu.edu.ge

რამინ ჯუღელი

მაგისტრანტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, ramin.jugheli@atsu.edu.ge

ნაშრომში წარმოდგენილია ორიგინალური პროგრამული პროდუქტი, რომლითაც შესაძლებელია მარტივად და მოხერხებულად ჩავატაროთ დისტანციური გამოცდა-ტესტირება Ms Forms-ის გამოყენებით. **კვლევის მიზანია** გამოცდების ონლაინ პროცესის აღრიცხვა და ფუნქციონირება აკადემიური სტანდარტების მაქსიმალური დაცვით. კვლევისას სხვადასხვა საძიებო სისტემის გამოყენებით მოვიძიეთ მსგავსი სისტემები, განვიხილეთ მათი დადებითი და უარყოფითი მახასიათებელი თვისებები და ფუნქციები, რის მიხედვითაც შევიმუშავეთ ჩვენი პროგრამის ძირითადი ბირთვის ჩამოყალიბების კონცეფცია. მოკლედ აღვწერთ **სისტემის მუშაობის პრინციპს**: ლექტორი Ms Forms-ში ქმნის ე.წ. „ქვიზის“ მინიმუმ 2, მაქსიმუმ 8 ვარიანტს (არ ავსებს გამოცდის დაწყების და დასრულების თარიღებს). მიღებულ მისამართებს (ბმულებს) ლექტორი შეიტანს საკუთარ პანელში. აქვე მიუთითებს გამოცდის დასახელებას და გამოცდის თარიღებს. ამავე პანელიდან ახორციელებს გამოცდის მიმდინარეობაზე დაკვირვებას. ლექტორი ინდივიდუალურად აკვირდება სტუდენტის მუშაობის პროცესს აუდიო-ვიდეო კონტაქტის საშუალებით. ადმინისტრაციას შეუძლია მიიღოს ინფორმაცია სტუდენტის წვდომის წერტილის შესახებ: რამდენჯერ გაიარა გამოცდაზე ხელახალი ავტორიზაცია, აქვს თუ არა რაიმე სახის ტექნიკური შეფერხება და დაეხმაროს მისიერად ონლაინ მიმოწერის ე.წ. „ჩატის“ ან სატელეფონო ზარის მეშვეობით. **სტუდენტის მხარე**: ვიყენებთ საკმაოდ ცნობილ და გავრცელებულ პროგრამა seb-win-refactoring-ის ბირთვს, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალური კომპიუტერის ბლოკირებას — გამოცდის მსვლელების დროს სტუდენტს ეზღუდება ყველა სხვა პროგრამასთან წვდომა. სტუდენტები გამოცდის დაწყებამდე შეიყვანენ საგამოცდო კოდს, რომელსაც მათ ლექტორი უგზავნის. გამოცდა ლექტორის მიერ შერჩეულ დროს დაიწყება. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით სტუდენტებს მისდის საკითხები და ისინი იწყებენ მუშაობას. მათ აქვთ საშუალება, თვალყური ადევნონ გამოცდის დასრულებამდე დარჩენილ დროს და პრობლემის დაფიქსირების შემთხვევაში მიმართონ დახმარების ჯგუფს პირდაპირი ჩართვის რეჟიმში, ონლაინ მიმოწერის ან სატელეფონო ზარის მეშვეობით.

კვლევის შედეგები: პროგრამამ გაიარა პირდაპირი ჩართვის ტესტირება, რომელმაც აჩვენა როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. კერძოდ: ოპერაციული სისტემებისათვის Windows 8.1 და Windows 10 აღნიშნული პროგრამა წარმატებით მუშაობს. პრობლემები ძირითადად დაფიქსირდა Windows 7 ოპერაციულ სისტემებზე ქართული ენის ენკოდირებასთან დაკავშირებით.

განვითარება: მიმდინარეობს სისტემის გადაკეთება Ms Teams-აპლიკაციად, რითიც პროგრამა მოექცევა ერთ მთლიან გარსში როგორც ლექტორისათვის, ასევე სტუდენტებისათვის. განხილული პროგრამული პროდუქტი შემუშავებულია შემდეგი ტექნოლოგიების გამოყენებით:

- სერვერის მხარე: LAMP
- ლექტორის მხარე: Electron.js — Php native Api- Ms FORMS API
- სტუდენტის მხარე: SafeExmB Core; Ms FORMS API
- გამოყენებული პროგრამული ენები: Php, Js, C#, SQL.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ განხილული პროგრამა ATSUOXM წარმოადგენს მოქნილ და ეფექტურ პროდუქტს, რომელიც საშუალებას გვაძლევს წარმატებით ჩავატაროთ დისტანციური ონლაინ გამოცდა (ტესტირება).

საკვანძო სიტყვები: პროგრამული ბირთვი, კომპიუტერის ბლოკირება, პირდაპირი ჩართვის ტესტირება.

Web-based Online Exam Program ATSUOXM

Zurab Khurtsia

*Assoc. Professor, Faculty of Exact and Natural Sciences, Akaki Tsereteli State University, Georgia,
zurab.khurtsia@atsu.edu.ge*

Ramin Jugheli

*Master Student, Faculty of Exact and Natural Sciences, Akaki Tsereteli State University, Georgia,
ramin.jugheli@atsu.edu.ge*

The paper presents an original software product that allows you to easily and conveniently conduct remote testing using Ms Forms. The **aim of the research** is to register and conduct the online examination process in compliance with the academic standards. As a **research method** we used different search engines to find similar systems, discussed their positive and negative characteristics and functions, and developed the concept of forming the core of our program.

Principle of operation of the system: The lecturer creates a quiz in Ms Forms: minimum 2, maximum 8 options (does not fill in the start and end dates of the exam). The lecturer then enters the obtained addresses (links) in his/her own panel. The lecturer also indicates the title of the exam and the date of the exam. From the same panel the lecturer monitors the progress of the test. The lecturer individually observes student's work process and has audio-video contact with them. The administration can get information about student's access point (how many times he/she has re-authorized to take the exam, whether he/she has any technical delays) and can provide immediate assistance via online chat or phone call.

Student's access: We use a fairly well-known and widespread program kernel of seb-win-refactoring, which provides a personal computer lockdown. In particular, the student is blocked from accessing any other programs on his/her computer during the exam. Students enter the exam code sent to them by the lecturer before the exam. The exam will start at a time chosen by the lecturer. Students are assigned exam questions on a random basis and they are given time to answer them. Students can track the time remaining before the end of the test and in case of any problems they can contact the help team live via chat or phone call.

Result(s): The program underwent live testing that showed both pros and cons of the program. Pros: the program works successfully for Windows 8.1 and Windows 10 operating systems. Cons: problems were mainly encountered with encoding Georgian language on Windows 7 operating systems.

Development: The system is being transformed into an Ms Teams application, bringing the program into a single shell for both lecturers and students. The software product under review was developed using the following technologies:

- Server: LAMP
- Lecturer: Electron.js - Php native Api- MsFORMS API
- Student: SafeExmB Core; MsFORMS API
- Software languages used: Php, Js, C #, SQL.

Conclusion: The program under consideration – ATSUOXM - is a flexible and effective product that allows us to successfully conduct remote online testing.

Keywords: software core, computer lockdown, live testing.

CK12 პლატფორმის სარგებელი ქართული საგანმანათლებლო სივრცისათვის

ნინო ჟონჯოლაძე

ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, nino.jonjoldze@tesau.edu.ge

გალინა ქადაგიშვილი

ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის დოქტორი, ენერგეტიკის ფაკულტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, qadagishviligalina02@gtu.ge

თანამედროვე სამყარო, რომელიც სავსეა გამოწვევებით, ბოლო რამდენიმე წელია ებრძვის პანდემიას, რამაც თავის მხრივ ასახვა ჰპოვა საგანმანათლებლო სივრცის გაციფრულებაზე. შეიქმნა უამრავი ვებ-გვერდი თუ პლატფორმა, რომელიც ხარისხიანი სასწავლო მასალის გადაცემაზე აცხადებს პრეტენზიას. სასწავლო პროცესში ჩართული პირები, განსაკუთრებით კი სკოლის მასწავლებლები გამუდმებით ეძიებენ და ითვისებენ ახალ და საინტერესო მიდგომებს მოსწავლეთა მოტივაციის გაღვივების მიზნით.

განათლების კოალიციისა და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივი ინიციატივითა და ძალისხმევით, ქართულ ენაზეც გახდა ხელმისაწვდომი CK-12 პლატფორმა. აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს საერთაშორისო საგანმანათლებლო პლატფორმას, რომლის მიზანია ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ციფრული რესურსების საშუალებით. CK-12 პლატფორმას აქვს უამრავი შესანიშნავი შესაძლებლობა. არსებითად ეს არის ციფრული სახელმძღვანელოების გამაერთიანებელი პლატფორმა, თუმცა, ტექსტის გარდა, მასწავლებლები და მოსწავლეები იპოვიან მულტიმედიაურ ერთეულებს, როგორცაა ვიდეო და ინტერაქტიული სიმულაციები. დიაგრამები და ვიდეოები თვალსაჩინოს და საინტერესოს გახდის სწავლების პროცესს. მასწავლებელს ასევე შეუძლია დაავალოს მოსწავლეებს ადაპტირებული პრაქტიკული აქტივობები, რომლებიც იზრდება სირთულისა და ხარისხის მიხედვით. CK-12-ის რეალური ძალა მომდინარეობს მასწავლებლის უნარიდან მოარგოს პროგრამის შიგთავსი ინდივიდებისთვის ან მცირე ჯგუფებისთვის აუცილებელ საჭიროებებს. მასწავლებლებს შეუძლიათ შექმნან „კლასები“, რომლებიც რეალურად წარმოადგენენ დავალების შინაარსს, რომელიც უფრო მორგებულია კონკრეტულ სასწავლო პროფილებზე. მაგალითად, მასწავლებელს შეუძლია ტექსტის რედაქტირება Flexbook-ის თავში, წამალს ყველაფერი ან გარდაქმნას რესურსად. გადაწერის ეს პროცესი არც ისე შრომატევადია, როგორც შეიძლება ჟღერდეს, რადგან თითოეულ თავში მასწავლებლისთვის მოცემულია ძირითადი პუნქტების შეჯამება მათი შემდგომი გამოყენების მიზნით. CK-12 პლატფორმა სასარგებლო და საინტერესოა არა მარტო სასკოლო სივრცისათვის, არამედ საუნივერსიტეტო გარემოსათვისაც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს პლატფორმა ბუნებისმეტყველების სასწავლო პროგრამებისათვის და ასევე განათლების მიმართულებით არსებულ პროგრამებისთვის. CK-12 მომავალ მასწავლებლებს დაეხმარება სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვაში და გააცნობს მათს დარგში არსებულ სიახლეებს.

ჩვენი **კვლევის მიზანია** გავიგოთ, რამდენად იცის მოქმედმა ან მომავალმა მასწავლებლებმა ზემოთ აღნიშნული პლატფორმის შესახებ და განვითარების რა შანსი აქვს მას ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. კვლევაში ჩართული იყვნენ მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამის მსმენელები. ანკეტა-კითხვარებით ცხადი ხდება, რომ ძალიან მცირე რაოდენობის ადამიანმა იცის ჯერ-ჯერობით CK-12 პლატფორმის შესახებ. იმედი გვაქვს, მომავალში ის ხელმისაწვდომი გახდება ფართო საზოგადოებისათვის და პლატფორმის სიკეთეები აისახება ჩვენი სკოლის მოსწავლეებზე.

საკვანძო სიტყვები: ციფრული სახელმძღვანელო, სასწავლო პროცესი, საუნივერსიტეტო გარემო, რესურსები, ანკეტა-კითხვარი.

Advantages of the CK12 Platform for the Educational Space of Georgia

Nino Zhonzholadze

*Doctor of Physics, Faculty of Exact and Natural Sciences, Telavi Iakob Gogebashvili State University, Georgia,
nino.jonjoladze@tesau.edu.ge*

Galina Kadagishvili

*Doctor of Energy and Electrical Engineering, Faculty of Energy, Georgian Technical University, Georgia,
qadagishviligalina02@gtu.ge*

The modern world, which is full of challenges, has been battling pandemic for the last few years, which in turn has been reflected in the digitization of the educational space. Numerous websites or platforms have been set up that claim to deliver qualitative training materials. Especially, school teachers are in constant search to find something new and exciting that will motivate students.

With the joint initiative and efforts of the Education Coalition and the United Nations Children's Fund, the CK-12 platform became available in Georgian language. CK-12 is an international educational platform that aims to increase access to quality education through digital resources. The CK-12 platform has lots of great features that teachers can use in the classroom. The CK-12 is essentially a platform for unifying digital textbooks. However, in addition to text, teachers and students will find multimedia units such as video and interactive simulations. Diagrams and videos will make the learning process visible and interesting. The teacher can also instruct students in adapted practical activities that increase according to complexity and quality. The real strength of CK-12 stems from the teacher's ability to tailor content to the needs of individuals or small groups. Teachers can create "classes" that are actually assignments that are more tailored to specific learning profiles. For example, a teacher can edit text in the Flexbook header, delete everything, or convert it as a resource. This process of copying is not as time consuming as it may sound, as each chapter provides a summary of key points that the teacher can use. The CK-12 platform is useful and interesting not only for the school space but also for the university environment. This platform is especially important for science educational programs as well as for existing programs in the field of education. The CK-12 will help future teachers to lead the learning process in an interesting way and will also introduce them to the latest developments in the field.

The aim of our research is to find out how much current and future teachers know about the given platform and what chances of its development are there in the Georgian educational space. The study involved students from the 60-ESTC credit teacher training program. The questionnaires show that very few people know about the CK-12 platform yet. We hope that in the future it will be available to the general public and that the benefits of the platform will be reflected in our school students.

Keywords: digital textbook, learning process, university environment, resources, questionnaire.

საგანმანათლებლო სექტორის მონაცემთა ანალიზი თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით

გულნარა ჯანელიძე

ასოცირებული პროფესორი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, gulijanelidze@gmail.com

ბადრი მეფარიშვილი

პროფესორი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, meparishvilbadri08@gtu.ge

ნინო ბერიძე

ასისტენტ პროფესორი, ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, beridzenino5@gmail.com

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესი მოიცავს არა მხოლოდ კვლევას და სწავლებას, არამედ ყველა შიდა პროცესს, რომელიც დაკავშირებულია თანამედროვე დასაქმების ბაზარზე მორგებული განათლების მისაღებად. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ძირითადი მიზანია მუდმივი გაუმჯობესებისკენ სწრაფვა, რაც მოითხოვს მონაცემების შეგროვებასა და სისტემატურ დამუშავებას მიმდინარე სიტუაციის რეალური სურათის მისაღებად. თანამედროვე პერიოდში სასწავლო დაწესებულებებში მონაცემების მოცულობამ მკვეთრად იმატა და მონაცემების დაგროვების და შენახვის მიზნით აუცილებელი გახდა მონაცემთა საცავების გამოყენება. მონაცემთა საცავებს შეუძლიათ წარმოგვიდგინონ მნიშვნელოვანი ინფორმაცია სასწავლო პროცესის ყველა საფეხურზე. გარდა შენახვისა, აუცილებელია მონაცემთა ანალიზი, რომელიც, ფაქტობრივად, არის გზა პროგნოზისკენ, რათა დავეგეგმოთ თუ რა და როგორ უნდა გაკეთდეს მომავალში, რა არის შესაცვლელი და რა ღონისძიებებია ჩასატარებელი პროცესის გასაუმჯობესებლად. ანალიზი მოგვცემს შესაძლებლობას, ცხადი სურათი შევქმნათ ცალკეულ სტუდენტსა და პედაგოგზე, რაც მეტად მნიშვნელოვანია მომავალში სასწავლო პროცესის არამხოლოდ ეფექტურად წარმართვისთვის, არამედ სწავლების გაუმჯობესებისა და სამომავლო განვითარებისთვის. ამდენად, საგანმანათლებლო სისტემის განსავითარებლად მიზანშეწონილია მოხდეს ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის ურთიერთშერწყმა, რაც გამოიხატება ტექნიკური თვალსაზრისით მოდერნიზებული აპარატურის დანერგვასა და საკლასო გარემოს ტექნოლოგიების განვითარებაში, ხოლო პროგრამული უზრუნველყოფის თვალსაზრისით სასწავლო პროცესის მონაცემების ანალიზში. სასწავლო პროცესი მოითხოვს მუდმივ განახლებას, რისთვისაც უალტერნატივოა დიდი მოცულობის მონაცემების სისტემატურად შეგროვება, დამუშავება და ანალიზი. ამდენად, მონაცემთა საცავებთან ერთად მიზანშეწონილია ონლაინ ანალიტიკური დამუშავების (OLAP — Online Analytical Processing) ტექნოლოგიის გამოყენება, რომელსაც დიდი უპირატესობა აქვს წარმოადგინოს კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფორმაცია სწავლების ყველა საფეხურზე.

ნაშრომში განხილულია მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში და საქართველოში დღეისათვის კოვიდ-19-ის პანდემიის გავრცელების და ადამიანთა ჯანმრთელობის გართულების გაძლიერების განუსაზღვრელობის პირობებში ტექნოლოგიური საშუალებების და ელექტრონული სწავლების გამოყენების აუცილებლობა, რომელიც იძლევა საშუალებას სტუდენტებმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა სახლიდან გაუსვლელად მიიღონ განათლება ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში. დღეისათვის ბიზნესის განვითარება მოითხოვს, მენეჯერებმა მიიღონ მართვის შედარებით რაციონალური გადაწყვეტილებები, რისთვისაც აუცილებელია უახლესი როგორც ფინანსური, ისე მმართველობით აღრიცხვის ინფორმაცია. აღნიშნული ინფორმაციის დამუშავება შესაძლებელია მაღალკვალიფიციური ბუღალტრების მიერ. ეს უკანასკნელი იწვევს როგორც სხვადასხვა პროფესიის, ისე ბუღალტრული აღრიცხვისადმი ინტერესის გაღვივებას. ინტერესის დაკმაყოფილებისათვის ჩვენი ქვეყნის განათლების სამინისტრომ და უმაღლესმა სასწავლებლებმა კოვიდ-19-ის პანდემიის გავრცელების ფარგლებში განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გაზიარებით და შესაბამისი რეგულაციების დაცვით დანერგეს ონლაინ სწავლება, რომლებზეც მრავალი ფაქტორი მოქმედებს და გარკვეული სირთულეებით მიმდინარეობს.

ამრიგად, ბუღალტრული აღრიცხვის სწავლებისთვის ონლაინ სწავლის მეთოდი უცხო არ იყო, მაგრამ კოვიდ-19-ის პანდემიის არსებობის გამო, კიდევ უფრო გააძლიერა მასზე მოთხოვნა, რომლის დროსაც აუცილებელი გახდა იმ ძირითადი კომპეტენციების ჩამოყალიბება, რომლებიც ბუღალტრული აღრიცხვის კურსდამთავრებულებს საშუალებას მისცემს შეასრულონ ამ სფეროს ზოგადი სამუშაოები და იყვნენ წარმატებულები.

საკვანძო სიტყვები: ბუღალტრულ აღრიცხვა, ტექნოლოგიური საშუალებები, ელექტრონული სწავლება, ოპერატიული აღრიცხვის კომპეტენცია, ინტერნეტ ქსელები.

On the Importance of Using the Online Learning Method for Teaching Accounting in the Conditions of the Spread of the Covid-19 Pandemic in Georgia

Diana Uglava

Invited Lecturer, Faculty of Social Sciences, Business and Law, Kutaisi University, Akaki Tsereteli State University, Georgia, diana.uglava@unik.edu.ge

Dezdemonna Maghlakelidze

Associate Professor, Faculty of Business, Law and Social Sciences, Akaki Tsereteli State University, Georgia, dezdemona.maghlakelidze@atsu.edu.ge

The paper discusses the necessity of using technology and e-learning to enable students and other stakeholders to get education in accounting without leaving home, given the prevalence of the Covid-19 pandemic and the growing uncertainty of human health complications in Georgia nowadays. Today, business development requires managers to make relatively rational management decisions, which requires up-to-date financial and management accounting information. This information can be processed by highly qualified accountants. The latter arouses interest in both professions and accounting. To satisfy the interest, the Ministry of Education and Science of Georgia and higher education institutions, by sharing the experience of developed countries in the context of the Covid-19 pandemic and following the relevant regulations, have introduced online education, which is affected by many factors and has some difficulties.

Thus, the online learning method was not unfamiliar to accounting training, but due to the Covid-19 pandemic, the demand for it was further strengthened. It became necessary to establish the core competencies that would enable accounting graduates to perform general work in this area and be successful.

Keywords: accounting, technology, e-learning, operational accounting, internet networks.

პანდემიისას სასწავლო გარემოს ცვლილებების პრობლემები

ნესტანი კოჩალიძე

მაგისტრანტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი, საქართველოს საკატორიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო, kochalidzen1@gmail.com

პანდემიის პირობებში სასწავლო გარემოს ცვლილებამ ონლაინ პლატფორმაზე და შემდეგ — სააუდიტორიო გარემოში გააჩინა ურთიერთობისა და შეგუების პრობლემა, რომელიც გამოიხატა საკლასო ოთახებში დაბრუნებისას. ხშირი ცვლილებები გავლენას ახდენს მოსწავლეთა ფსიქიკაზე მათს გუნება-განწყობილებაზე. ვაწარმოეთ კვლევა, რომლის მიზანი იყო სასწავლო გარემოს ცვლილებებისადმი მოსწავლეთა შეგუების ხარისხის შესწავლა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო ასმა ადამიანმა. კითხვარი შევთავაზეთ როგორც მოსწავლეებს, ასევე მასწავლებლებსა და მშობლებს შემდეგი საკითხების ირგვლივ: 1) მოსწავლეთა მზაობა შეცვლილ გარემოსადმი, 2) ხელისშემშლელი ფაქტორები ან მიზეზები ურთიერთობებში, 3) მშობელთა ჩართულობა ამ პრობლემის მოგვარებისათვის, 4) მასწავლებელთა ჩართულობა პრობლემის გადაჭრისათვის.

კვლევის მიზანი გახლდათ ონლაინ პლატფორმიდან საკლასო ოთახში დაბრუნებული მოსწავლეების შეგუების მახასიათებლების გამოვლენა. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მიუხედავად იმისა რომ მოსწავლეები ერთ-ერთ მახასიათებლად სიხარულს ასახელებენ, მათ მაინც გაუჭირდათ საკლასო გარემოსთან შეგუება. გარდა ურთიერთობების სიძნელისა, გამოიხატა ქცევის პრობლემებიც. მოსწავლეები თითქოს გადაეჩვივნენ გაკვეთილზე ჯდომას, მათ უჭირთ დიდხანს მშვიდად ჯდომა და მოსმენა. კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ იოლი არ არის მოსწავლეებისათვის ხშირი სასწავლო ცვლილებები. ამ პრობლემის მოსაგვარებლად ერთ-ერთ გზად მივიჩინე გაკვეთილგარეშე მუშაობა, აქცენტი გადავიტანე სადამრიგებლო საათებზე. მოვიძიე და გავეცანი სადამრიგებლო საქმიანობას. შევარჩიე, მოვარგე კონკრეტულ საჭიროებებს და შევიმუშავე ისეთი აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობდა მოსწავლეთა შორის ურთიერთობების დალაგებასა და საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას მოსწავლეთა მიერ საკუთარი ქცევების გაკონტროლებას.

მოსწავლეებს ვთავაზობთ სხვადასხვა აქტივობას, რაც მათში სიხარულს და დიდ ინტერესს იწვევს. ერთ-ერთი აქტივობის სახელწოდებაა „აბა დღეს მე ვის რა ვარგე“. აქტივობის მიზანია, მოსწავლეებში აღვიძრათ სიკეთის კეთებისა და ერთმანეთისადმი დახმარების სურვილი. მოსწავლეებისათვის მიგვაქვს ყუთი, რომელსაც ვტოვებთ საკლასო ოთახში და ბავშვებს ვთავაზობთ, რომ ყოველთვის, როდესაც კარგ საქმეს გააკეთებენ ფურცელზე დაწერონ და ყუთში მოათავსონ, კვირის ბოლოს მასწავლებელი ყუთს გახსნის მოსწავლეების თანდასწრებით და მათვე უზიარებს კვირის განმავლობაში დაგროვილ სიკეთეებს; ბავშვებზე ეს დადებითად აისახება და სურვილი უჩნდებათ, უფრო მეტი კარგი საქმე გააკეთონ. კიდევ ერთი — „მიგაჩნიათ, თქვენ ხართ მიზეზი?“ ამ აქტივობის მიზანია, მოსწავლეები დავაფიქროთ მათს ქცევებზე. ისინი ავსებენ სქემას, სადაც წარმოდგენილია ხიფათის ტიპები, მოსწავლეები გვთავაზობენ მათი თავიდან აცილების თავისუფლ გზებს. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული სადამრიგებლო საათების განხორციელების გარდა გამოცდილება გავუზიარე ჩემს კოლეგებსაც; შედეგი ეფექტური აღმოჩნდა. აღდგა ის ნორმალური ურთიერთობები, რომელიც პანდემიამდე იყო.

საკვანძო სიტყვები: სწავლება, ცვლილება, პანდემია, სტრესი, სიკეთე, სადამრიგებლო საათი

Problems Caused by the Changes in the Educational Environment during the Pandemic

Nestani Kochalidze

M.Sc. candidate, Faculty of Humanities and Education, St. Tbel Abuseridze Teaching University of the Georgian Patriarchate, Georgia, kochalidzen1@gmail.com

Changes in the learning environment during the pandemic firstly on the online platform and then in the auditorium caused a problem of communication and adaptation that manifested itself when returning to classrooms. Frequent changes affect not only the psyche of students but also their mood.

To determine the degree of students' adaptation to changes in the learning environment and to identify the adaptation characteristics of students returning to the classroom from an online platform, I conducted a survey which covered one hundred participants (students, teachers and parents). The questionnaire aimed to analyze: a) students' readiness towards changed environment, b) obstructive factors/reasons in communication, c) parental involvement to address the problem, d) teacher involvement in problem solving.

The results of the study showed that although students named joy as one of the adaptation characteristics, they still found it difficult to adapt to the classroom environment. In addition to the difficulty of communication, behavioral problems were also observed. Students seemed to be getting used to sitting in class; they found it difficult to sit stationary for long periods of time. Students find it difficult to maintain quiet during the class. The results of the study revealed that frequent learning changes are not easy for students. I considered extracurricular activities as one of the ways to solve this problem. I focused on tutoring hours. I searched and got acquainted with the tutoring activities. I have selected, modified, and developed activities that help to sort out relationships between students and control students' own behaviors during the lesson.

We offered different activities to students which make them happy and engaged in the process. The name of one of the activities is "Who did I help today?". The purpose of the activity is to arouse students' desire to do good things and help each other. We bring a box for the students into classroom and ask them to write it down on a piece of paper and put it in the box whenever they do good things. At the end of the week, the teacher opens the box in the presence of students and shares the writings collected during the week. It has a positive effect on children and they want to do more good deeds. Another activity we offered to students was "Do you think you are the reason?". The purpose of this activity is to make students think about their behaviors. They complete a diagram that presents the types of dangers, with students offering their own ways of avoiding them.

The results of the study and the developed activities were shared with my colleagues, and the results they obtained were effective. The normal relationship that existed before the pandemic came back.

Keywords: classroom, behaviour, adaptation, activities.

STEM საგნების მომავალ პედაგოგთა მზაობა დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების სწავლებისათვის

ნინო გვარამაძე

ასისტენტ პროფესორი, სამართლის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო, nino.gvaramadze@eu.edu.ge

კვლევის მიზანია STEM საგნების მასწავლებელთა მზაობის შესწავლა მოსწავლეებში დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების სწავლებისათვის. კვლევა ჩატარდა ევროპის უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების პროგრამის სტუდენტების STEM საგნების ჯგუფთან. კვლევის ამოცანებია: 1. STEM საგნების მასწავლებელთა დემოკრატიული კომპეტენციების კუთხით მომზადების აუცილებლობის დადგენა; 2. კურსის „დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების (დკკ) განვითარება მოსწავლეებში“ გავლენის შესწავლა საკვლევი ჯგუფის სტუდენტებზე.

კვლევის მეთოდთაგან შეირჩა: ა) სამაგიდო კვლევა: გაანალიზდა სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევები STEM საგნების სტუდენტთა სამოქალაქო ჩართულობის შესახებ და ნაშრომები STEM სპეციალისტთა სამოქალაქო ჩართულობის აუცილებლობის შესახებ; ბ) დაკვირვება: შესწავლილ იქნა საკვლევი ჯგუფის სტუდენტთა დემოკრატიული სწავლებისადმი საწყისი და კურსის („დკკ-ის განვითარება მოსწავლეებში“) გავლის შემდგომი დამოკიდებულება; გ) მეორადი კვლევა: სტუდენტთა მიერ შესრულებული დავალებების ანალიზის საშუალებით შეფასდა მათი პროფესიული მზაობა დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლებისათვის. კვლევა ტარდებოდა 3 სასწავლო წლის მანძილზე 148 სტუდენტთან.

კვლევის შედეგების მიხედვით:

1. საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ STEM საგნების სტუდენტთა სამოქალაქო ჩართულობის ხარისხი საგრძნობლად დაბალია ჰუმანიტარული ფაკულტეტების სტუდენტებთან შედარებით.
2. საწყის ეტაპზე STEM საგნების მომავალი პედაგოგები (განსხვავებით ჰუმანიტარული საგნების პედაგოგებისაგან) არა მარტო ვერ ხედავდნენ თავიანთი საგნის სწავლების პროცესში დემოკრატიული მოქალაქეობის უნარ-ჩვევების განვითარების შესაძლებლობას, არამედ ეწინააღმდეგებოდნენ ამ იდეას.
3. კურსის „დკკ-ის განვითარება მოსწავლეებში“ დაუფლების შედეგად, სტუდენტთა მიერ შესრულებულ ნამუშევრებში წარმოდგენილი იქნა ბევრი საინტერესო იდეა, როგორც შინაარსთან, ისე მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით. გამოიკვეთა ინტერკულტურული სწავლების, საზოგადოებრივი სარგებლისათვის თანამშრომლობისა და სხვა მიმართულებები. რადიკალურად შეიცვალა მათი საწყისი დამოკიდებულება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლის მომზადების პროგრამის STEM საგნების სტუდენტებში დკკ განვითარებისათვის მნიშვნელოვანია:

- მათი საგნობრივი სპეციფიკის გათვალისწინება;
- დემოკრატიული მოქალაქეობის ელემენტების გავლენის ჩვენება STEM საგნების სწავლებაზე;
- STEM საგნების ფართო ხედვის განვითარება.

საკვანძო სიტყვები: დემოკრატია, STEM, კომპეტენცია.

Future STEM Subject Teachers' Readiness to Teach Democratic Citizenship and Human Rights

Nino Gvaramadze

*Assistant Professor, Faculty of Law, Humanities and Social Sciences, European University, Georgia,
nino.gvaramadze@eu.edu.ge*

Aim of the research

To study the readiness of STEM subject teachers to teach students democratic citizenship and human rights. The research objectives are: 1) to state the necessity of STEM subject teachers' training in terms of democratic competencies; 2) to study the influence of the course "Development of Competencies of Democratic Culture (CDC) in Students" within the study group students.

Methods

a) Desk research: studies on the civic engagement of STEM students in various countries and papers on the need of STEM specialists' civic engagement were analyzed; b) observation: the attitude of the students towards democratic teaching at the beginning and the end of the course ("Development of CDC in Students") was studied; c) secondary research: by means of students' assignments the readiness to be taught democratic citizenship was evaluated.

Participants

The study of STEM subjects was conducted with students at the Teacher Training Program at the European University. The study included 148 students and was conducted over 3 academic years.

Results

1. International experience shows that the degree of STEM students' civic involvement is significantly lower than that of the students of humanities.
2. At the initial stage, future STEM subject teachers (in contrast to the humanities teachers) not only couldn't see the possibility of democratic citizenship skills development in the teaching process but also opposed this idea.
3. Many interesting ideas on its content and methodology were presented in students' works, after course mastering. Intercultural teaching, cooperation for public benefit and other areas were identified. Their initial attitude has radically been changed.

Conclusion

While developing CDC for STEM subject students in teacher training program, it is important to:

- take into account their subject specifics;
- demonstrate the impact of elements of democratic citizenship in the teaching process of STEM subjects;
- develop a broad vision of STEM subjects.

Keywords: democracy, STEM, competence.

არქიტექტურული პროექტირების სწავლებაში გამოყენებული ინოვაციური მეთოდი

მაია დავითაია

პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი, საქართველო, maia_davitaia@hotmail.com

არქიტექტურული პროექტირების მეთოდები სხვადასხვა შეიძლება იყოს, რაც დამოკიდებულია არქიტექტორის ინდივიდუალურობაზე, თუმცა სწორედ ისინი განაპირობებენ არქიტექტორის შემოქმედებით მეთოდს, მის ხელწერას.

იდეის ჩამოყალიბების ეტაპზე ერთ-ერთი საბაზისო მეთოდი, რომელსაც იყენებენ პრაქტიკაში არის ასოციაციების მეთოდი. ის ეხმარება არქიტექტორს დასმული ამოცანის გადაწყვეტაში. ასოციაციებთან მუშაობა მოითხოვს გამომსახველობითი ინტერპრეტაციების ვერბალური მახასიათებლების ძიებასაც.

არქიტექტურული პროექტირების სწავლების პროცესში, მეთოდის შერჩევა უნდა მომდინარეობდეს პროფესიონალური არქიტექტურული მოღვაწეობისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის ეფექტური მიდგომებისა და მეთოდების ანალიზის საფუძველზე, რაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის, პროგრამა „არქიტექტურის“ ერთ-ერთი საგნის „არქიტექტურული დისკურსის თემები საერთაშორისო არქიტექტურაში“ სწავლებაში მცდელობის საგანი გახდა.

სტუდენტები მსოფლიოს მრავალი წამყვანი ქვეყნის თანამედროვე არქიტექტურაში მიმდინარე პროცესების, რომლებიც განსაზღვრავენ და ზოგ შემთხვევაში მისაბაძიც ხდებიან სხვა ქვეყნების მოქმედი არქიტექტურული სკოლებისა თუ არქიტექტორებისთვის, გაცნობის შემდეგ, ასრულებენ პრაქტიკულ დავალებებს მათი შემოქმედებითი პოტენციალისა და აზროვნების გამოსავლენად.

ასოციაციების შესრულების რამდენიმე მეთოდი არსებობს: გრაფიკული, რომელიც მნიშვნელოვანია კომპოზიციურ-გრაფიკული საშუალებების ფლობის თვალსაზრისით, კოლაჟი-არქიტექტურული პროგრამის გამოყენებით შესრულებული ასოციაცია, პანორამული, რომელიც ემყარება პრინციპს „დაანგრიე, რომ ააშენო ახალი“ და გულისხმობს პანორამულ ხედში არსებული შენობის ამოკვეთას და მის ადგილას ახლის ინკორპორაციას კონტექსტის გათვალისწინებით, ასოციაცია გამონათქვამზე და არქიტექტურული ანალიზის მეთოდი. დავალება გულისხმობს ამა თუ იმ არქიტექტორის ნააზრევის მიკვლევას, იმის გააზრებას თუ რა შეიძლება გამხდარიყო მისთვის ინსპირაციის წყარო და ყოველივე ამის წარმოდგენა ასოციაციის სახით. ეს ერთგვარი უკუპროცესია ამა თუ იმ ნამუშევრის ავტორის იდეიდან ნამუშევრის შექმნამდე და დასრულებული ნამუშევრიდან იდეამდე.

სწავლების საწყის ეტაპზე ასეთი მეთოდის საშუალებით განვითარებული ასოციაციური აზროვნება დაეხმარება არქიტექტორს მომავალში სწრაფად გადაწყვიტოს არქიტექტურული გარემოს ორგანიზებისა და ზოგადად გარემოს ადამიანზე გავლენის საკითხები.

საკვანძო სიტყვები: არქიტექტურული პროექტირება, სწავლება, ინოვაციური მეთოდი.

Innovative Method in Teaching of Architectural Design

Maia Davitaia

*Professor of Architecture, Urbanistic and Design Department, Georgian Technical University, Georgia,
maia_davitaia@hotmail.com*

The methods of architectural design might be different. These methods depend of architect's personnel individualism; however, they condition architect's creativity and his identity.

One of the basic methods used in practice at the idea formation stage is the method of associations. It helps the architect to solve the task. Working with associations also requires searching for the verbal characteristics of expressive interpretations.

In the process of teaching architectural design, the selection of methodology should be based on the analysis of effective approaches and methods of professional architectural work and creative activity, which was undertaken in one of the subjects of the program "Architecture" at the Georgian Technical University, Faculty of Architecture, Urbanism and Design.

After getting acquainted with the current processes in the modern architecture of many leading countries of the world, which define and, in some cases, become a model for the existing architectural schools or architects of other countries, students perform practical tasks to reveal their creative potential and thinking.

There are several methods of making associations: graphic, which is important in terms of owning compositional-graphic means; association made using a collage-architectural program; panoramic, which is based on the principle of "destroy to build a new one" and involves cutting out a panoramic building considering the association with expression and the method of architectural analysis. The task is to follow the thoughts of this or that architect, to understand what could have been a source of inspiration for him and to present all this in the form of an association. It is a kind of reverse process from the idea of the author of this or that work to the creation of the work and from the finished work to the idea.

The associative thinking developed through such a method at the initial stage of teaching will help the architect to quickly resolve the issues of organizing the architectural environment and the impact of the environment on people in general in the future.

Keywords: architectural design, teaching, innovative method.

ჯგუფური მუშაობის ორგანიზება ონლაინსივრცეში

ხათუნა ხალვაში

ასოცირებული პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო, khatuna1603@gmail.com

შექმნილმა ეპიდვითარებამ რადიკალურად შეცვალა ჩვენი ჩვეული ცხოვრების სტილი. ფიზიკური დისტანცირების აუცილებლობამ კიდევ უფრო მწვავედ დაგვანახა თუ რამდენად მნიშვნელოვანია ონლაინ სწავლების კარგად განვითარებული სისტემის არსებობა. სწავლების ახალ ფორმატზე გადაწყობამ მასწავლებლებლისაგან მოითხოვა სწავლების განსხვავებული მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენება, ელექტრონული რესურსების შექმნა თუ მოძიება და ა.შ. თანაც ეს ყველაფერი ისე უნდა იყოს შერჩეული და გამოყენებული, რომ მაქსიმალურად უზრუნველყოს ჩართულობა, თანამშრომლობითი სწავლება, რაც, ვფიქრობთ, ყველაზე უკეთ მიიღწევა ჯგუფში მუშაობით. ჯგუფური მუშაობის გამოყენება სწავლებაში უმნიშვნელოვანესია პიროვნული განვითარებისთვის; თანამშრომლობითი თვისებების ჩამოყალიბებისა და შემეცნებითი უნარების გაუმჯობესებისთვის; აქ შექმნილი ინტელექტუალური, სოციალური და პიროვნული გამოცდილება მიმართულია როგორც საკუთარი თავისკენ, ასევე შემდეგში — დამოუკიდებელი ცხოვრებისკენ.

კვლევა **მიზნად** ისახავს ჯგუფური მუშაობის ონლაინ ფორმატში გადატანის გზების ძიებას, დისტანციური სწავლების ორგანიზებას, ცოდნის შექმნის პროცესის ყოველი ნაბიჯის დოკუმენტირებით სასწავლო პროცესის გათვალსაზიარებას, იდეებისა და შედეგების გამოქვეყნებასა და მასზე უკუკავშირის მიღებას, სწავლების მიზნის შესატყვისი ონლაინ სერვისების შერჩევასა და გამოყენებას.

კვლევა დამყარებულია სასწავლო პროცესზე დაკვირვებასა და შედარებითი ანალიზის **მეთოდზე**, მოძიებული და დახარისხებულია ონლაინინსტრუმენტები ჯგუფური მუშაობის, — კოოპერატიული (გუნდური) და კოლაბორაციული (თანამშრომლობითი) — ეფექტურობისათვის; ჩატარებულია ინტერვიუ და ანკეტური გამოკითხვა.

კვლევამ წარმოაჩინა, რომ ჯგუფური მუშაობისას ონლაინინსტრუმენტების გამოყენება განლავთ მამოტივირებელი ფაქტორი სწავლების ხარისხის ასამაღლებლად; მოძიებული ონლაინ პროგრამები, გზები და ხერხები, მეთოდები და სასწავლო აქტივობები შესაძლებელს ხდის ეფექტურ თანამშრომლობას დისტანციური სწავლებისას.

კვლევის ღირებულებად უნდა ჩაითვალოს, რომ განისაზღვრა სასწავლო მიზნის შესატყვისი აქტივობები დისტანციური სწავლებისათვის, შეირჩა ციფრული ინსტრუმენტები ჯგუფური მუშაობისთვის: საერთო დოკუმენტი, ცხრილი, პრეზენტაცია, სქემის შევსება, მენტალური რუკები, დროის ხაზი, ონლაინდაფა, ონლაინვიქტორინა, ინტერაქტიული ვიდეოს, სამგანზომილებიანი წიგნის შექმნა, ინტერაქტიული სავარჯიშოები, ინტერაქტიული პლაკატის შექმნა, ონლაინკონფერენცია, კედლის გაზეთი, აფიშის, მოსაწვევის, სერტიფიკატის შექმნა, ვირტუალური კლასები, თვითშეფასება, შეფასება, უკუკავშირი. განისაზღვრა ინსტრუქციები ონლაინინსტრუმენტების ერთობლივი გამოყენებისათვის. შემოთავაზებულია შეფასების კრიტერიუმები ჯგუფური მუშაობისათვის. შემუშავდა რეკომენდაციები.

კვლევის შედეგები დიდ სამსახურს გაუწევს სტუდენტებს, მასწავლებლებს, განათლების სფეროს მუშაკებს სწავლება/სწავლის მეთოდოლოგიაში, როგორც დამხმარე მასალა.

საკვანძო სიტყვები: სწავლება, ჯგუფური მუშაობა, ონლაინ ინსტრუმენტები.

Organizing Group Work in the Online Space

Khatuna Khalvashi

Associate Professor, Faculty of Humanities and Education, St. Tbel Abuseridze Teaching University of the Georgian Patriarchate, Georgia, khatuna1603@gmail.com

The created epidemic has radically changed our usual lifestyle. The need for physical distance has further highlighted the importance of having a well-developed online learning system. The redesign of the teaching format required the teacher to use different teaching methods and tools, to create or retrieve electronic resources, among others. In addition, all this should be selected and used to maximize engagement, collaborative learning, which we think is best achieved through group work. The use of group work in teaching is essential for personal development, development of collaborative qualities and improvement of cognitive skills. The intellectual, social and personal experience gained here is aimed both at oneself and later at independent living.

The aim of the research is to find ways to transfer group work to online format, to organize distance learning, to document the learning process by documenting each step of the knowledge creation process, to publish and receive feedback on ideas and results, to select and use online services appropriate to the learning goal.

The research is based on the process of observation and comparative analysis of the learning process. Online tools are found and sorted for group work effectiveness [cooperative (team) and collaborative (collaboration)]; interviews and surveys were conducted.

The results of the research have shown that the use of online tools in group work is a motivating factor to improve the quality of teaching; online programs, ways and means, as well as methods and learning activities enable effective collaboration in distance learning.

As a result of the given research the learning activities appropriate for the distance learning have been identified; digital tools for group work have been selected: joint documents, spreadsheet, presentation, chart filling, mental maps, timeline, online board, online quiz, interactive video, bookmarks, interactive posters, online conference, wall newspapers, invitations, certificates, virtual classes, self-assessment, assessment, feedback; instructions for sharing online tools were defined. Evaluation criteria for group work were proposed, and recommendations were developed.

The results of the research will be of great service to students, teachers, education workers in teaching/learning methods as supporting materials.

Keywords: teaching, group work, online tools.

სისტემური აზროვნების განვითარების ხელშეწყობა ზოგადი განათლების საფეხურზე

მანანა ქარქაძაძე

ასოცირებული პროფესორი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, manana.qarqashadze@gmail.com

თანამედროვე სამყაროში საგანმანათლებლო პროცესის მნიშვნელოვანი მიზანი ინფორმაციული საზოგადოების შექმნაა. ჩვენი ამოცანა თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესის აგებაა, რომელიც აღნიშნული მიმართულებით ეფექტიანი იქნება. აბსტრაქტში წამოდგენილია კერძო სკოლაში განხორციელებული ინოვაციური სასწავლო აქტივობა, მეთოდები და შედეგები.

ჩვენ მიერ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სკოლის ეგიდით ჩატარდა კვლევა შემთხვევის ანალიზის (Case study), ინდუქციური, ანალიზის და სინთეზის მეთოდოლოგიის გამოყენებით. კვლევის მიზანი იყო აღრუელ ასაკში, აღსაზრდელოთა დამოკიდებულება ციფრული ტექნოლოგიებისადმი. გამოიკითხა ბაღის აღმზრდელები, ლოგოპედები, ფსიქოლოგები და მშობლები. კვლევის შედეგად დასტურდება, რომ მათ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარ-ჩვევები აღრუელი ასაკიდანვე აქვთ. მეცნიერები ღღესაც იკვლევენ ამ ფენომენს.

შედეგებიდან გამომდინარე დასკვნით, თუ თანამედროვე ბავშვების ამ უნარ-ჩვევების გამოყენებას ქაოსური, არამიზნობრივი ფორმა ექნება, აღსაზრდელების განვითარებაში პრობლემები წარმოიქმნება (ლოგოპედიური, კომუნიკაცია, კოგნიტური და მოტორული უნარ-ჩვევები და სხვა.); ასევე აუცილებელია ნოვატორული, ინოვაციური, შემოქმედებითი მიდგომა სასწავლო პროცესისადმი. შედეგად, სკოლაში დაწყებითი საფეხურიდანვე ტარდება სავალდებულო საგანი „სისტემური ინჟინერია“, რომლის დანიშნულება არის მოსწავლეებში სისტემური აზროვნების განვითარება, საგნობრივი კომპეტენციების საფუძველზე. სწავლება მომდინარეობს პროექტებით, რომელთა განხორციელებისათვის აუცილებელია საკითხისადმი სისტემური მიდგომა. მოსწავლეებს ზოგადი კომპეტენციებიდან უნვითარდებათ შემდეგი უნარები: ამოცანის დასმა, ექსპერიმენტის ჩატარება, პროგრამირების ინსტრუმენტების გამოყენება, შედეგების განხილვა, ახსნა-განმარტება, სხვადასხვა შემთხვევების განხილვა, დაკვირვება, მსჯელობა, არგუმენტაცია, მონაცემების გამოყენება შედეგების დასაბუთებისათვის, მეცნიერული ლექსიკონით პრეზენტაცია, ახალი გადაწყვეტილებების მოსაძებნად გონებრივი შტურმის ორგანიზება, იდეების გაცვლისა და თანამშრომლობის მეთოდებით სწავლება და სხვა. საგნობრივი კომპეტენციებიდან, გარდა სკოლაში სავალდებულო საგნების საკითხების ღრმად სწავლისა და გამოყენებისა, საგნის ფარგლებში მოსწავლეები სწავლობენ და იყენებენ პროგრამირების, თანამედროვე ტექნოლოგიების, ფსიქოლოგიის, დიზაინის და სხვა საკითხებს. სკოლაში საგნის სწავლება ცხრა წელია მიმდინარეობს და მას აქვს ისეთი საინტერესო მახასიათებლები, როგორცაა: მოსწავლეების დადებითი დამოკიდებულება საგნისადმი, მასწავლებლების ურთიერთთანამშრომლობა (საგნის ფარგლებში სხვადასხვა საგნობრივი ცოდნის საჭიროება); აღნიშნულ გაკვეთილებზე მიღებული ზოგადი და საგნობრივი უნარ-ჩვევების ტრანსფერი სხვადასხვა საგნების შესწავლისას; საინფორმაციო ტექნოლოგიებისადმი გააზრებული დამოკიდებულება; საბუნებისმეტყველო საგნებისადმი ინტერესი; სასწავლო უნარ-ჩვევების გაუმჯობესება და სხვა. სისტემური აზროვნება ხასიათდება საგნებისა და მოვლენების, როგორც მთლიანის აღქმით და საშუალებას იძლევა ვიფიქროთ მთავარ საკითხებზე, ისე, რომ, არ დაიკარგოს კავშირი მასში შემავალ ელემენტებს შორის. მოცემული საგნის წარმართვისათვის გამოყენებულია როგორც ტრადიციული აკადემიური, ასევე თანამედროვე ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ლიტერატურა და პუბლიკაციები.

საკვანძო სიტყვები: სისტემა, ინჟინერია, ინოვაცია, აზროვნება.

Promoting the Development of Systemic Thinking at the General Education Level

Manana Karkashadze

*Associate Professor, Faculty of Exact and Natural Sciences, Akaki Tsereteli State University, Georgia,
manana.qarqashadze@gmail.com*

An important goal of the educational process in the modern world is to create an information-oriented society. Our task is to build a modern educational process that will be effective in this direction. The abstract presents the innovative learning activities, methods and results implemented in a private school.

The aim of the study was the attitude of children towards digital technologies at an early age. Kindergarten teachers, logopedics, psychologists, and parents were interviewed.

Research shows that they have the skills to use information and communication technologies from an early age. Scientists are still studying this phenomenon. Based on the results, we can say that if the use of these skills of modern children has a chaotic, non-purposeful form, problems will appear in the development of children (logopedics, communication, cognitive and motor development, etc.). It also requires an innovative, creative approach to the learning process. As a result, the required course “Systems Engineering” is taught in the school from the elementary level, the purpose of which is to develop systemic thinking in students. Teaching is carried out through projects, and a systematic approach to the issue is necessary. Students develop the following skills: task setting, experimenting, using programming tools, discussing results, explaining, discussing different cases, observing, reasoning, using data to justify results, presenting scientific vocabulary, looking for new solutions, organizing, exchange ideas and cooperation, etc. From the subject competencies, in addition to deep learning and application of compulsory subjects in school, students learn and use programming, modern technologies, psychology, design and other issues within the subject. The subject has been taught in the school for nine years and it has such interesting features as: students' positive attitude towards the subject, teacher cooperation; transfer of skills acquired in “systemic thinking” lessons while studying different subjects; thoughtful attitude towards information technologies; interest in science; improving learning skills and more. The type of systemic thinking is characterized by the perception of objects and events as a whole and allows us to think about the main issues, so as not to lose the connection between the elements contained in it. Both traditional academic and modern technology literature are used to teach this subject.

Keywords: system, engineering, innovation, thinking.

საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამის სასკოლო შეფასების ინოვაციური მეთოდები

ანა გვარამაძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტი, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის პროგრამის ასისტენტი, საქართველო, ann.gvaramadze@gmail.com

საერთაშორისო ბაკალავრიატის — IB (The International Baccalaureate) მსოფლიო აღიარების მქონე სასკოლო განათლების საერთაშორისო პროგრამაა, რომელიც განკუთვნილია 3-19 წლის ასაკის მოსწავლეებისთვის. IB პროგრამის უმთავრესი მიზანია, რომ სიახლის შემეცნების სურვილი მოსწავლეებისთვის ყოველდღიური საქმიანობის განუყოფელ ნაწილად იქცეს.

სტატიის მიზანი იყო გამოერკვია შეფასების ერთ-ერთი ინოვაციური მეთოდი, რომელსაც აღნიშნული პროგრამა სთავაზობს სკოლებს და აპრობირებულია საერთაშორისო დონეზე. საქართველოშიც რამდენიმე სკოლაში დანერგილია IB პროგრამით სწავლება, რომელიც აღიარებულია საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს მიერ. თვისებრივი მეთოდის საშუალებით გამოაშკარავდა თუ რას გულისხმობს IB განათლების პროგრამა და რატომ არის მისი შეფასების სისტემა ინოვაციური. რაოდენობრივი კვლევის მეთოდით კი გამოიკვია მასწავლებლების დამოკიდებულება IB პროგრამის შეფასების კრიტერიუმების მიმართ. კვლევების შედეგად გამოჩნდა რომ მოსწავლეების პერიოდული შეფასება მათს მოტივაციას ცვლის ნიშნების მიღებიდან სწავლების შედეგებზე ორიენტირებით. მათ შორის მასწავლებლებიც განმავითარებელ შეფასებას უფრო ეფექტურად მიიჩნევენ ვიდრე განმსაზღვრელს. ასევე, მასწავლებლებსაც და მოსწავლეებსაც აქვთ მეტი კრეატიულობის შესაძლებლობა და მასწავლებლების მოსაზრებით განმავითარებელი შეფასება მეტად რეალურად და კონკრეტულად ასახავს მოსწავლეების პროგრესს.

კვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რეკომენდებულია საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტრომ, განათლების სისტემის წარმომადგენლებმა და ამ სფეროთი დაინტერესებულმა პირებმა გაითვალისწინონ შეფასების თანამედროვე მიდგომები, შეუწყონ ხელი მოსწავლეებში მოტივაციის ზრდას არა ყოველდღიური ნიშნების მიღებით, არამედ სწავლაზე ორიენტირებით, მუდმივი უკუკავშირით და პერიოდული შეფასებით.

საკვანძო სიტყვები: სასკოლო შეფასება, აიბი პროგრამა.

Innovative School Assessment Methods for The International Baccalaureate Program

Ana Gvaramadze

PhD candidate, Grigol Robakidze University, Tourism Program Assistant at Tbilisi Humanitarian University, Georgia, ann.gvaramadze@gmail.com

The International Baccalaureate (IB) is a world-renowned international school education program designed for students of ages 3 - 19. The main goal of the IB program is to make the desire for cognitive novelty as an integral part of students' daily activities.

The aim of the article was to identify one of the innovative assessment methods offered by IB program to schools and tested internationally. Several schools in Georgia have introduced IB education, which is recognized by the Ministry of Science and Education of Georgia. Through the qualitative method, it was represented what the IB education program means and why its grading system is innovative. The quantitative research method revealed the attitude of teachers towards the evaluation criteria of the IB program. Studies have shown that periodic assessment of students changes their motivation by focusing on learning outcomes rather than getting grades. Therefore, teachers consider formative assessment to be more effective than summative assessment. Also, both teachers and students have the opportunity for more creativity, and teachers' formative assessments reflect students' progress more realistically and specifically.

As a result of the research, we can conclude that the Ministry of Science and Education of Georgia, representatives of the education system and those interested in this field are recommended to take modern assessment approaches, to increase students' motivation not by receiving daily marks, but by focusing on learning, constant feedback and periodic assessment.

Keywords: school assessment, IB program.

კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს მნიშვნელობა სასწავლო პროცესში

ნინო საფარიძე

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო, safaridzenin@gmail.com

ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩომ (2019) შემოგვთავაზა განზოგადებული სწავლის შედეგები საბაზო და საშუალო საფეხურისათვის. ეს არის გამჭოლი უნარები, რომელთა ფლობის დონე განსაზღვრავს საბაზო და საშუალო საფეხურის დასრულების ხარისხს.

სასწავლო პროცესი შედეგიანი და ნაყოფიერი რომ იყოს აუცილებელია შესაბამისი კომპეტენციების ფლობა. კერძოდ: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. ჩემ წინაშე დადგა პრობლემა, რამდენად იცნობენ და აკავშირებენ მასწავლებლები განზოგადებულ სწავლის შედეგებს სასწავლო პროცესში. ამასთან მიმართებით ჩავატარე კვლევა.

გამოკითხვისათვის გამოვიყენე ინტერნეტგამოკითხვის მეთოდი, რომელსაც სხვადასხვა საგნის საბაზო და საშუალო საფეხურების 26 მასწავლებელი. ჩატარებული კვლევის შედეგად გაირკვა, რომ მასწავლებლების დიდი ნაწილი განზოგადებულ სწავლის შედეგებს სასწავლო პროცესში არ იყენებს და მიზეზად დაასახელეს, რომ არ იცნობენ განზოგადებულ სწავლის შედეგებს სათანადოდ.

გამოიკვეთა პრობლემა: თუ განზოგადებული სწავლის შედეგის მიღწევის დონე განაპირობებს საბაზო და საშუალო საფეხურის დაძლევის მაჩვენებელს, მაშინ მასწავლებლები უნდა იცნობდნენ შესაბამის მახასიათებლებს. აღნიშნული პრობლემის დასაძლევად კვლევაში მონაწილე მასწავლებლებმა გამოთქვეს სურვილი, ჩაგვეტარებინა ონლაინ შეხვედრა, სადაც განვიხილავდით საბაზო და საშუალო საფეხურის განზოგადებული სწავლის შედეგებს.

გარკვეული დროის შემდეგ ჩავატარეთ კვლევა იმავე თემასთან დაკავშირებით, იმავე მეთოდით იმავე სამიზნე ჯგუფთან, შედეგები კი მკვეთრად განსხვავდებოდა წინა კვლევის შედეგებთან შედარებით. განზოგადებული სწავლის შედეგების გაცნობიერებამ და ჩართვამ სასწავლო პროცესში სტანდარტების მიღწევისათვის განსახორციელებელი სამუშაო (განსაკუთრებით, კომპლექსური დავალებები) უფრო მიზნობრივი აღმოჩნდა, რადგან გამოიყო ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესი უფრო ეფექტური და ნაყოფიერი გახდა.

განზოგადებული სწავლის შედეგები ყველა საგანში ერთნაირია, რაც განაპირობებს ერთ საგანში მიღებული ცოდნისა და უნარების გადატანას სხვა საგანში, მთლიანობაში კი წარმატებულ შედეგზე გასვლას. მოსწავლე ერთ საგანში დაუფლებული ცოდნის გაღრმავებულ უნარებს იყენებს სხვა საგანში, ავსებს ახალი ფაქტებითა და მოვლენებით.

საკვანძო სიტყვები: კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩო, სწავლება, კომპლექსური დავალება.

The Importance of the National Qualification Framework in the Learning Process

Nino Saparidze

*Faculty of Humanities and Education, St. Tbel Abuseridze Teaching University of the Georgian Patriarchate,
Georgia, safaridzenin@gmail.com*

The National Qualifications Framework (2019) proposes generalized learning outcomes for the elementary and secondary education levels. These are skills whose level of mastery determines the degree of completion of the elementary and secondary education levels.

In order for the learning process to be effective and productive, it is necessary to have the relevant competencies, namely: knowledge and understanding, ability, responsibility and autonomy. I was faced with a problem with how well teachers know and relate generalized learning outcomes to the learning process. I conducted research in this regard.

For the survey, I used an online questionnaire, which was filled out by 26 teachers of elementary and secondary education levels in various subjects. The results of the study showed that a large proportion of teachers do not use generalized learning outcomes in the learning process, citing a lack of knowledge about generalized learning outcomes.

If the level of achievement of generalized learning outcomes determines the achievement rate of elementary and secondary level, then teachers should be familiar with the relevant characteristics. To overcome this problem, the teachers in the study expressed a desire to conduct an online meeting to discuss the results of generalized elementary and secondary learning.

After some time we conducted research on the same topic, using the same method with the same target group. The results were drastically different from the results of the previous study. Understanding and integrating general learning outcomes and the work to be done to achieve standards in the learning process (especially complex tasks) were found to be more targeted as knowledge, skills, responsibilities and autonomy had been identified. It was noted that the learning process has become more efficient and fruitful.

The results of generalized learning are the same in all subjects, which leads to the transfer of knowledge and skills acquired in one subject to another, and the overall successful outcome. The student uses the advanced skills acquired in one subject in another subject, filling it with new facts and events.

Keywords: National Qualifications Framework, teaching, complex assignment.

ახალი ტექნოლოგიები განათლების სისტემაში

მურმან ბლიაძე

პროფესორი, სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, murmanblidze@gmail.com

XXI საუკუნეში მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის განვითარება შეუძლებელია ახალი ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვის გარეშე. ახალი ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს პირობას წარმოადგენს. ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და გამოყენება განათლების სისტემაში ხელს შეუწყობს უფრო გამჭვირვალე და დროული ინფორმაციების მიწოდებას ქვეყანაში მიმდინარე ყველა სიახლეზე.

უკანასკნელი წლინახევრის განმავლობაში მსოფლიოში მძვინვარებს პანდემია, რამაც მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა განათლების სისტემაში, სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები სასწავლო ოთახებიდან გადაიყვანა დისტანციურ სწავლებაზე საკუთარ ბინებში. აღნიშნული პედაგოგებისაგან, მოსწავლეებისაგან და სტუდენტებისაგან განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვდა. იმ დროისათვის, ვისაც ინტერნეტის მოხმარების ცოდნა და აღჭურვილობა არ გააჩნდა, განათლების სისტემის გარეთ აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა რომ ინტერნეტი, ტელევიზია და რადიო ინტენსიურად მუშაობდა, მაინც ვერ მოხერხდა ქვეყნის ზოგიერთ რაიონებში და სოფლებში ხმის მიწვდენა. მიზეზი ძირითადად სახლში შესაბამისი მოწყობილობის არქონა იყო.

აღსანიშნავია, რომ დისტანციურ სწავლებაზე პირობების გასაუმჯობესებლად რამოდენიმე სასწავლო პლათფორმა ამუშავდა მთელ მსოფლიოში. საქართველოში შეიქმნა ელექტრონული ბიბლიოთეკა ზოგადი განათლების რეფორმების ფარგლებში EL.GE. ეს პროექტი მიზნად ისახავდა საქართველოს ნებისმიერი ადამიანისთვის საგანმანათლებლო საკითხებზე ერთ სივრცეში წვდომის მინიჭებას. პარარელურად ამოქმედდა Feebc Edu პლათფორმა, რომლის შედეგადაც მოსწავლეები, სტუდენტები და მასწავლებლები სახლიდან გაუსვლელად დისტანციურად ერთვებიან სასწავლო პროცესში. დღეისათვის დისტანციური სწავლება უმნიშვნელოვანესი ფენომენია უმაღლესი განათლების სისტემაში. ძალიან მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო ტელესკოლის შექმნამ, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით ამუშავებს სხვადასხვა თემებს, როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე სტუდენტებისთვის.

